## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### აკადემიური საბჭო

### დადგენილება №27

09. 08. 2008 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს;

I. საქართველლოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის დადგენილების №5 "დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულება" პუნქტი 163-ის შესაბამისად 2008 წლის 15 სექტემბრიდან "დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან" ამოღებული იქნას შემდეგი პუნქტები: 16.1, 16.2, 16.3, 16.4, 16.5, 16.6, 16.7, 16.8.

II. 2008 წლის 15 სექტემბრიდან დებულებაში დამატებული იქნას შემდეგი პუნქტები:
6.5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ დისერტაციის დაუცველობის შემთხვევაში, დოქტორანტის სტატუსი გაგრძელებული იქნეს მხოლოდ დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ სადისერტაციო საბჭოსადმი წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნისა და მასზე სადისერტაციო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. ამ პუნქტის განსაზღვრული პროცედურა უნდა ჩატარდეს ყოველი გაგრძელებული აკადემიური წლისათვის.
16.9. დოქტორანტებთან გათანაბრებულ პირებად ჩაითვალნონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურაში კანონმდებლობით დაგენილი წესით 2003 და 2004 წელს ჩარიცხული ასპირანტები.

III. პუნქტი 9.1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
9.1 დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორი რეცენზენტი და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები) წარუდგენენ სადისერტაციო საბჭოს წერილობით დასკვნას დისერტაციაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
პროფ. ა. მოწონელიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი,
პროფ. გ სალუქვაძე